

## კაზუსი №1

ბიჭიკაშვილმა და რაზმაძემ 2009 წლის 10 აგვისტოს დადეს ზეპირი ხელშეკრულება 100 ტონა ცემენტის ნასყიდობაზე. ხელშეკრულების თანახმად, რაზმაძემ იკისრა ვალდებულება 2009 წლის აგვისტოს ბოლოსათვის მიეწოდებინა აღნიშნული საქონელი ბიჭიკაშვილისათვის. ხელშეკრულების დირებულება განისაზღვრა 100 000 ლარის ოდენობით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის მხრიდან შესრულების ვადის გადაცილებისათვის ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრებოდა პირგასამრებლო მისაწოდებელი საქონლის დირებულების 1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ბიჭიკაშვილმა დათქმულ დროში ცემენტის მიწოდება ვერ შეძლო და აცნობა რაზმაძეს, რომ ცემენტის მიწოდებას მხოლოდ 2009 ოქტომბრის ბოლოსთვის შეძლებდა. შესაბამისად, შესრულების ვადის გადაცილება განახორციელა 60 დღით.

ბიჭიკაშვილმა სარჩელი აღმრა სასამართლოში და მოითხოვა ვალდებულების შესრულება და ვადის გადაცილებით გამოწვეული პირგასამრებლოს 60 000 აშშ დოლარის დაკისრება რაზმაძეზე. რაზმაძემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ პირგასამრებლოსა და ვალდებულების შესრულების მოთხოვნა გამორიცხულია, ვინაიდან კანონი ამგვარ შესაძლებლობას არ უშვებს. ამასთანავე, რაზმაძემ განმარტა, რომ შესრულების ვადის გადაცილება გამოწვეული იყო აზერბაიჯანის რკინიგზის თანამშორმელთა გაფიცვით, საიდანაც მას უნდა მოეხდინა აღნიშნული ცემენტის იმპორტი და შესაბამისად, მას ბრალი არ მიუძღვდა აღნიშნული ვადის დარღვევაში.

**როგორ გადავწყვიტოთ დაგა?**

## პაზუსი №2

საზღვარგარეთ ხანგრძლივ მივლინებაში წასკლასთან დაკავშირებით ირაკლი დევნოზაშვილმა გადაწყვიტა გაეყიდა საძინებელი ავეჯის გარნიტური (საწოლი, კარადა, ორი ტუმბო). ირაკლის შეუთანხმდა შალვა ხვედელიძე, რომ იყიდდა მისგან მთელ ავეჯს და წაიღებდა 11-ე დღეს. შალვამ იფიქრა, რომ შესაძლებელია, 10 დღეში ირაკლიმ სხვა მიჰყიდოს ავეჯი და ამიტომ მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა წერილობითი ფორმით.

ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეებმა აღნიშნეს, რომ შალვა ხვედელიძე ავეჯის მესაკუთრე ხდებოდა ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ხოლო ავეჯის ღირებულებას – 5000 ლარს კი გადაიხდიდა ავეჯის წადებისთანავე. გარდა ამისა, შალვამ ირაკლის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე გადასცა 1000 ლარი ბეს სახით.

ხელშეკრულების დადებიდან მეთერთმეტე დღეს შალვამ ვერ შეძლო ავეჯის წაღება ავადმყოფობის გამო, რაც დადასტურებული იქნა სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით. ხელშეკრულების დადებიდან მეცამეტე დღეს ირაკლის 11 წლის შვილის - დავითის ელექტროგამაცხელებელთან დაუდევარი მოპყრობის შედეგად იმ ოთახში, სადაც ავეჯი იდგა, გაჩნდა ხანძარი და მთელი ავეჯი დაიწვა.

შალვა ხვედელიძე ავეჯის წასაღებად გამოცხადდა ხელშეკრულების დადებიდან მეთეუთმეტე დღეს. შეიტყო რა ავეჯის განადგურების შესახებ, შალვამ მოითხოვა ირაკლი დევნოზაშვილისაგან ბეს ორმაგად უკან დაბრუნება. თავის მხრივ, ირაკლიმ შალვასაგან მოითხოვა დარჩენილი თანხის - 4000 ლარის გადახდა იმ საფუძველით, რომ გაფუჭდა ის ავეჯი, რომელიც შალვას საკუთრება იყო და შესაბამისად, რადგან შალვამ გადააცილა ავეჯის წადების ვადას, დაღუპვის რისკიც მას აწევს.

როგორ გადავწევიტოთ დავა? პასუხი დაასაბუთეთ.

კოტრიკაძე და ბარჯაძე შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ კოტრიკაძე იყიდდა ბარჯაძისაგან საცხოვრებელ სახლს 80.000 ლარად, ისინი შეადგენდნენ საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებას წერილობითი ფორმით და 2010 წლის 10 ოქტომბერს სანოტარო წესით დაამოწმებდნენ. ამასთან, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე 2010 წლის 9 ოქტომბერს კოტრიკაძემ წინასწარ გადასცა ბარჯაძეს 5000 ლარი.

დათქმულ ვადაში, ხელშეკრულების შესადგენად და სანოტარო წესით დასამოწმებლად არ გამოცხადდა მყიდველი კოტრიკაძე, ამიტომ 2010 წლის 15 ოქტომბერს ბარჯაძემ სახლი იმავე ფასად, ანუ 80.000 ლარად მიჰყიდა აბაშიძეს.

კოტრიკაძემ მოითხოვა ბარჯაძისაგან 5000 ლარის უკან დაბრუნება, ხოლო როდესაც ბარჯაძემ ამაზე უარი განაცხადა, კოტრიკაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ბარჯაძისაგან 5000 ლარის ამოღებისა და უკან დაბრუნების მოთხოვნით. ბარჯაძე სასამართლოში არ დაეთანხმა კოტრიკაძის მოთხოვნას იმ საფუძვლით, რომ წინასწარ გადახდილი 5000 ლარი არის ბე და რადგან ბეს მიმცემის ბრალით აღარ დაიდო ხელშეკრულება, ეს თანხა მას უნდა დარჩენოდა.

კოტრიკაძემ კი თავის მხრივ განაცხადა, რომ მას სურდა დაედო ხელშეკრულება, მაგრამ ვერ შეძლო ამის გაკეთება შეთანხმებულ ვადაში იმ მიზეზით, რომ მისი ქალიშვილი გათხოვდა სხვა ქალაქში და იგი წასული იყო ქორწილში, ხოლო რაც შეეხება ბარჯაძისათვის წინასწარ მიცემულ 5000 ლარს, ის არ შეიძლება ბედ ჩაითვალოს, რადგან ამის შესახებ საერთოდ არ ყოფილა საუბარი. ეს თანხა მიჩნეულ უნდა იქნეს ავანსად, რომელიც გადაცემულ იქნა ბარჯაძისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში ჩასათვლელად და რადგან ამჟამად ხელშეკრულების დადება შეუძლებელია, ამიტომაც ბარჯაძემ უკან უნდა დააბრუნოს ავანსად მიცემული 5000 ლარი.

### როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ლაშამ გადაწყვიტა შეეძინა რუსთაველზე მდებარე კომერციული ფართი, რომელიც მერაბის საკუთრებას წარმოადგენდა. მხარეებმა ზეპირად მოილაპარაკეს, რომ ლაშა იყიდიდა კომერციულ ფართს 10000 აშშ დოლარად. იმისათვის, რომ აღნიშნული ფართი სხვისთვის არ მიეყიდა, ლაშამ მერაბს გადასცა 10000 აშშ დოლარი, რომელმაც აღნიშნული თანხის მიღება დაუდასტურა ფურცელზე ხელმოწერით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებას 1 კვირაში გააფორმებდნენ. მართლაც ერთი კვირის შემდეგ ლაშა დაუკავშირდა მერაბს და მოსთხოვა ხელშეკრულების გაფორმება. მერაბმა განუცხადა, რომ ფართის აღნიშნულ ფასად გაყიდვა გადაიფიქრა და დაპპირდა გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას. ლაშამ აღნიშნული თანხის ორმაგად დაბრუნება მოითხოვა, რაზედაც მერაბმა უარი განაცხადა. ლაშამ სარჩელი აღძრა სასამართლოში 20000 აშშ დოლარი დაბრუნების მოთხოვნით. სასამართლომ ლაშას მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, ამასთან, სასამართლომ შეუსაბამოდ ჩათვალა ბეს ოდენობა, ანალოგით გამოიყენა სამოქლაქო კოდექსის 420-ე მუხლი და ბეს ოდენობა შეამცირა 9000 აშშ დოლარამდე.

**აღწერეთ რა დარღვევები განახორციელა სასამართლომ?**